სსიპ - კოლეჯი

„გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“



2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

თბილისი

ინფორმაცია
სსიპ – კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ შესახებ

ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება **სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“** დაფუძნდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 10 სექტემბრის №176/ნ ბრძანების საფუძველზე. 2019 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 19 ივნისის N121/ნ ბრძანებით დამტკიცდა **სსიპ – კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“** წესდება და ძალადაკარგულად გამოცხადდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 10 სექტემბრის №176/ნ ბრძანება. შესაბამისად, **სსიპ – კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“** წარმოადგენს სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის” უფლებამონაცვლეს.

კოლეჯში შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად ხელშეკრულებები გაფორმებულია მაღალკვალიფიციურ პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განმახორციელებელ პირებთან. დაწესებულება აღჭურვილია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსით, თანამედროვე სალექციო აუდიტორიებით, ლაბორატორიებითა და სახელოსნოებით, რაც პროფესიულ სტუდენტებსა და მსმენელებს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას აძლევს. კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს კერძო სექტორთან.

კოლეჯში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია კომუნიკაციების, მომსახურების, მშენებლობის, მრეწველობის, საზოგადოებრივი კვლევების სფეროების კომპანიებთან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული პროგრამების განახლების, ადაპტირების და განხორციელების პროცესში.

საკონტაქტო ინფორმაცია:
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა, №44
www.profgldani.ge
profgldaniedu@gmail.com
ტელ: + 995 32 2-140-314, 2-140-315

საგანმანათლებლო დაწესებულების ხედვა, მისია და მიზნები

კოლეჯის ხედვაა, 2032 წლისთვის კოლეჯი იყოს წარმატებული, ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სივრცე პროფესიული ზრდისთვის, რომელიც ეფექტურად რეაგირებს ყველა დაინტერესებული მხარის საჭიროებებსა და მოლოდინებზე, მიმდინარე ტენდენციებისა და სამომავლო გამოწვევების გათვალისწინებით.

კოლეჯის მისიას წარმოადგენს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისთვის ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი, დინამიური, ხარისხიანი პროფესიული სწავლებით უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, მათი შემდგომი დასაქმებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით.

კოლეჯის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

კოლეჯის მიზანია პროფესიული სტუდენტების/მსმენელების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა და მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა.
თავისი მიზნების მისაღწევად კოლეჯის საქმიანობის საგანს წარმოადგენს:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;
ბ) მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;
გ) პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელება;
დ) პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელება;
ე) სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების განხორციელება;
ვ) ტრენინგ-კურსებისა და პროგრამების განხორციელება არაფორმალური განათლების ფარგლებში;
ზ) ერთობლივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან/ დაწესებულებებთან ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით;
თ) გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით.

ამ საქმიანობის გარდა, კოლეჯი უფლებამოსილია წესდებით განსაზღვრული ***მიზნების*** მისაღწევად, *საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად:*

ა) განახორციელოს ეკონომიკური საქმიანობა, მათ შორის, სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზაცია/ანაზღაურებადი მომსახურების გაწევა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ფინანსური სახსრების მოზიდვა, მათ შორის, შემოსავლის მიღება ისეთი ეკონომიკური საქმიანობიდან, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო არ არის და სწავლების ხარისხზე უარყოფითად არ მოქმედებს;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დააფუძნოს სამეწარმეო იურიდიული პირი ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;
გ) უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით უფლებამოსილია საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან დადოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მომსახურების ხელშეკრულება;
დ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

კოლეჯის ფუნქციაა:

ა) შექმნას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისთვის საჭირო ყველა პირობა, თითოეული პროფესიული სტუდენტის/მსმენელის განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით;
ბ) შექმნას ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების პირობები; საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის შესაბამისადაც

განხორციელდება პროფესიული სტუდენტისა და მსმენელის სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია;
გ) უზრუნველყოს პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;
დ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს კოლეჯის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;
ე) უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით თანასწორად სარგებლობა;
ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილებების დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობა;
ზ) უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში პროფესიულ სტუდენტთა, მსმენელთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და სოციალური პარტნიორების მონაწილეობა;
თ) ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმებას და ამ მიზნით აქტიურად ითანამშრომლოს დამსაქმებლებთან ან/და მათ გაერთიანებებთან;
ი) ხელი შეუწყოს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით პროფესიულ სტუდენტთა სწავლებას როგორც კოლეჯის ფარგლებში, ასევე რეალურ სამუშაო გარემოში;
კ) ხელი შეუწყოს საქართველოს და უცხო ქვეყნების საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობასა და უცხო ქვეყნების შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა ურთიერთგაცვლას;
ლ) განავითაროს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები.

კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობა მიმდინარეობს წინა წელს გაწეული მუშაობის შედეგების გაანალიზების საფუძველზე, ძირითადი პრობლემებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, მომავალი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრითა და პრიორიტეტების გამოკვეთით. კოლეჯს შემუშავებული აქვს **სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი** და **ერთწლიანი სამოქმედო გეგმები**, რომლებიც პერიოდულად ახლდება.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პოლიტიკა

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ **ერთწლიანი სამოქმედო გეგმა** კოლეჯის საქმიანობის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტია, რომელიც სტრატეგიულ დაგეგმარებას ეფუძნება. სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა, თავისმხრივ, მნიშვნელოვანია კოლეჯის საერთო ღირებულებების, პრინციპებისა და მიზნების მისაღწევად და ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად. ის ხელს უწყობს სასწავლო და ადმინისტრაციული რესურსის გაერთიანებას და ერთიან შეთანხმებულ საქმიანობას. სამოქმედო გეგმა მიმოიხილავს დაწესებულების ერთწლიან ხედვას, დანიშნულებას, საქმიანობის მთავარ პრინციპებს, მნიშვნელოვან მიზნებსა და ამოცანებს, ასევე მათი გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებს **2026 წლის** განმავლობაში. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში დასახულ აქტივობათა ერთობლიობა მუშავდება გუნდურად, აქტიური ჩართულობით, თანამშრომლობისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზის საფუძველზე, კვლევების/პროგნოზების, წინა წლი(ებ)ის სამოქმედო გეგმების შეფასების, შედეგების ანალიზის, ანგარიშებისა და დასკვნების გათვალისწინებით. მისი შემუშავების მიზნით, იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში აუცილებელ წევრებად განისაზღვრებიან კოლეჯის დირექციის/ადმინისტრაციის, პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლები, პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ან/და სხვა დაინტერესებული პირები. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა საჯარო დოკუმენტია, რომლის საშუალებითაც კოლეჯი ცდილობს გაუზიაროს სამომავლო გეგმები ყველა დაინტერესებულ მხარეს და ჩართოს ისინი კოლეჯის საქმიანობის შეფასებასა და შემდგომი სრულყოფის პროცესში.

სსიპ - კოლეჯ "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" 2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

N	სტრატეგიული მიზანი	ამოცანები	აქტივობები	განხორციელების ვადები												შესრულების ინდიკატორი	მტკიცებულება	პასუხისმგებელი პირი	ჩართული პირები	საჭირო რესურსები
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII					
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21
1	**შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (იმიტირებული, კოოპერაციული, დუალური, ინტეგრირებული), პროფესიული მომზადების / პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვა / პილოტირება**	შრომის ბაზრის მოკვლევა	სახელმწიფო და კერძო სტრუქტრის წარმომადგენლების გამოკითხვა				*	*	*	*	*	*	*	*	*	გამოკითხვის შედეგები	კვლევის შედეგების ანალიზი / ანგარიში	პროფორიენტაციის ა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი		ადამიანური რესურსი
			კურსდამთავრებულთა და დაინტერესებულ პირთა გამოკითხვა				*	*	*	*	*	*	*	*	*	გამოკითხვის შედეგები	კვლევის შედეგების ანალიზი / ანგარიში	პროფორიენტაციის ა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი		ადამიანური რესურსი
		შემუშავებული პროგრამების განვითარება	პროფესიული სანმანათლებლო სტანდარტების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების / პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავება და განხორციელების უფლების მოპოვება			*	*	*	*	*	*	*	*	*	*	შემუშავებული პროგრამები	ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება	დირექტორის მოადგილე	პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, ადმინისტრაციის წევრები	ადამიანური და ფინანსური რესურსი
			შემუშავებული პროგრამების განხორციელება და მონიტორინგი		*	*	*	*	*		*	*	*	*	*	განხორციელებული მონიტორინგი	მონიტორინგის შესახებ ანგარიშები	სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი		ადამიანური რესურსი
			პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების / პროფესიული გადამზადების პროგრამების შეფასების მიზნით პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროგრამის განმახორციელებელი პირების, პროფესიული სტუდენტების / მსმენელების, კურსდამთავრებულებისა და პარტნიორი ორგანიზაციების გამოკითხვა				*	*	*	*	*	*	*	*	*	გამოკითხვის შედეგები	კვლევის შედეგების ანალიზი / ანგარიში	ხარისხის მართვის მენეჯერი	ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი	ადამიანური რესურსი
	ადამიანური რესურსის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა	კოლეჯში დასაქმებული პერსონალის საჭიროებათა კვლევა	კოლეჯში დასაქმებული პერსონალის გამოკითხვა მათი საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით და კვლევის შედეგების ანალიზი						*	*						გამოკითხვის შედეგები	კვლევის შედეგების ანალიზი/ანგარიში	ხარისხის მართვის მენეჯერი	ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი	ადამიანური რესურსი

2		კვლევის შედეგების გათვალისწინებით ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა	ტრენინგის / განმავითარებელი აქტივობის დაგეგმვა / ჩატარება									*	*	*	*	ტრენინგები / აქტივობები	ჩატარებული აქტივობების შესახებ ანგარიში	დირექტორის მოადგილე	სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, სასწავლო პროცესის სპეციალისტი, საქმისმწარმოებელი	ადამიანური და ფინანსური რესურსი
		პროფესიული განათლების მასწავლებლების / პროფესიული მომზადების / პროფესიული გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი პირების საჯარო ლექციების ორგანიზება	საჯარო ლექციების დაგეგმვა და ჩატარება		*	*	*	*	*	*		*	*	*	*	საჯარო ლექციები	საჯარო ლექციების ჩატარების შესახებ ანალიზი / ანგარიში	დირექტორის მოადგილე	სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, სასწავლო პროცესის სპეციალისტი, საქმისმწარმოებელი	ადამიანური რესურსი
3	**სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარება და სასწავლო პროცესში ინოვაციების დანერგვა**	ინოვაციური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა	სასწავლო პროცესში ინოვაციური მიდგომების განხორციელება და პროფესიული სტუდენტების / მსმენელებისათვის თანამედროვე ტექნოლოგიების შეთავაზება	*	*	*	*	*	*	*		*	*	*	*	პროფესიული სტუდენტების / მსმენელების შეფასების შედეგების დადასტურების მაჩვენებელი	სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირის ანგარიში	დირექტორის მოადგილე	დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, სასწავლო პროცესის სპეციალისტი	ადამიანური და ფინანსური რესურსი
		სასწავლო პროცესის მონიტორინგის სისტემის განვითარება	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების განხილვა პროფესიული განათლების მასწავლებელთან, პროფესიული მომზადების / პროფესიული გადამზადების პრგორამების განმახორციელებთან ერთად	*	*	*	*	*	*	*		*	*	*	*	ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგი	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის ოქმები, სასწავლო პროცესზე პასუხიმგებელი პირის ანგარიში	დირექტორის მოადგილე (მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე)	ხარისხის მართვის მენეჯერი (მონიტორინგის ჯგუფის წევრი), სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი	ადამიანური რესურსი
		თანამშრომლობის გააქტიურება კოლეჯებსა და პარტნიორ ორგანიზაციებთან	პოტენციურ დამსაქმებლებთან აქტიური კომუნიკაციის დამყარება, პროფესიული სტუდენტებისთვის დარგის სიახლეების გაცნობა		*	*	*	*	*	*		*	*	*	*	განხორციელებული შეხვედრები / აქტივობები	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის ანგარიში	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები, პროგრამის ხელმძღვანელები	ადამიანური რესურსი

4	**პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერა**	პროფესიული სტუდენტის სერვისების განვითარება, კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებების ორგანიზება	პროფესიული სტუდენტის უფლებების გაცნობა									*	*	*	*	განხორციელებული შეხვედრები / აქტივობები	დირექტორის მოადგილის ანგარიში	დირექტორის მოადგილე	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები, იურისტი	ადამიანური რესურსი
			პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა				*	*	*	*		*	*	*	*	გამოკითხვის შედეგები	ხარისხის მართვის მენეჯერის კვლევის შედეგების ანგარიში	ხარისხის მართვის მენეჯერი	ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი	ადამიანური რესურსი
			დასაქმებათან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზება	*	*	*	*	*	*	*		*	*	*	*	ჩატარებული ღონისძიებები	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის ანგარიში	პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები, პროგრამის ხელმძღვანელები	ადამიანური რესურსი
			დამატებითი, არაფორმალური ღონისძიებების ორგანიზება	*	*	*	*	*	*	*		*	*	*	*	ჩატარებული ღონისძიებები	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის ანგარიში	პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები	სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები, პროგრამის ხელმძღვანელები	ადამიანური და ფინანსური რესურსი
5	**დამატებითი ეკონომიკური საქმიანობის დანერგვა**	სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის ფუნქციონირება	სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის მუდმივი განვითარება				*	*	*	*		*	*	*	*	განხორციელებული აქტივობები	სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის კოორდინატორის ანგარიში	სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის კოორდინატორი	"ინდუსტრიული დიზაინის შესრულების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	ადამიანური და ფინანსური რესურსი
			ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობით ინოვაციური ბიზნესპროექტების იდენტიფიცირება და განვითარება				*	*	*	*		*	*	*	*	განხორციელებული შეხვედრები / აქტივობები	სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის კოორდინატორის ანგარიში	სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის კოორდინატორი	"ინდუსტრიული დიზაინის შესრულების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	ადამიანური და ფინანსური რესურსი

6	**ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური რესურსების განვითარება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად**	ტექნოლოგიების განვითარების ზრდასთან ერთად ტექნიკური რესურსის საჭიროების დადგენა	კოლეჯის თანამედროვე ტექნიკური რესურსით აღჭურვა				*	*	*	*		*	*	*	*	შემენელი რესურსი	დირექტორის მოადგილის ანგარიში	დირექტორის მოადგილე	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორინატორი	ადამიანური და ფინანსური რესურსი
7	**პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობა**	არაფორმალური პროფესიული განათლების მექანიზმის ამოქმედება	არაფორმალური განათლების აღაირებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზება									*	*			არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული პროცედურა, არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტი	დირექტორის მოადგილის ანგარიში	დირექტორის მოადგლე	იურისტი, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი	ადამიანური და ფინანსური რესურსი
			ადგილობრივი თვითმმართველობებისა და კერძო სექტორის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობა		*	*	*	*	*	*		*	*	*	*	ღონისძიებები	დირექტორის მოადგილის ანგარიში	დირექცტორის მოადგლე	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი	ადამიანური რესურსი
		პროფორიენტაციის ღონისძიებების ორგანიზება	ვიზიტები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სხვადასხვა ორგანიზაციაში, "ღია კარის" დღეების ორგანიზება კოლეჯში		*	*	*	*	*		*		*	*		ვიზიტები / "ღია კარის" დღეები	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის ანგარიში	პროფორიენტაციის ა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი	საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი	ადამიანური და ფინანსური რესურსი
			ვებგვერდისა და სოციალური ქსელების მეშვეობით კოლეჯის აქტივობების შესახებ ინფორმაციის გაზიარება	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	განთავსებული ინფორმაცია	საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერის ანგარიში	პროფორიენტაციის ა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	ადამიანური რესურსი
			საინფორმაციო-სარეკლამო კამპანიის წარმოება	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	სარეკლამო ბროშურა	საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერის ანგარიში	საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	ადამიანური და ფინანსური რესურსი

			პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობა	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	ღონისძიებები, ფესტივალები	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის ანგარიში	პროფორიენტაციის ა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი	ადამიანური და ფინანსური რესურსი